

## ხელშეკრულება

ქ. ბათუმი

----- 2018 წ

ერთის მხრივ, შპს „ლუკოილ ჯორჯია“ (შემდგომში „დამკვეთი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის ზაზა ქათამაძის სახით და მეორეს მხრივ, ----- (შემდგომში „შემსრულებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის ----- სახით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას და ვთანხდებით შემდეგზე:

### 1. ხელშეკრულების საგანი

- 1.1. „დამკვეთმა“ ჩაატარა ტენდერი ბათუმის პორტში ნავთობპროდუქტების მიღებისას მომსახურების თაობაზე, რომელშიც გამარჯვებულად გამოვლინდა ----- შემდგომში „შემსრულებელი“, რომელმაც იკისრა სატენდერო პირობებითა (რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს) და წინამდებრე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების შესრულება.
- 1.2. შემსრულებელი უზრუნველყოფს სამუშაოთა შესრულებას უწყვეტ ციკლში როგორც ნავთობტანკერიდან ნავთობტერმინალამდე, ასევე ბათუმის ან ყულევის ტერმინალის ტერიტორიაზე დამკვეთის სარგებლობაში არსებულ რეზერვუარებსა და სატრანსპორტო საშუალებებში (ვაგონციტერნები და ბენზინმზიდები). სარკინიგზო მარშრუტის შემთხვევაში, სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი პარამეტრების ფარგლებში, სინჯების აღებას შემდეგ პუნქტებში - ნავთობბაზა ძეგვი, ქ. სამტრედია, თბილისი (ლილო და სადგური საკვანძო), ქუთაისი, ფოთი, ქობულეთი.
- 1.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნავთობპროდუქტების ინსპექტირება (სინჯების აღება - რაოდენობისა და ხარისხის განსაზღვრა, მეტროლოგია), და შესაბამისი დასკვნების წარმოდგენა, შემსრულებელმა უნდა განახორციელოს მოქმედი სტანდარტების შესაბამისად პროფესიული განათლების მქონე პერსონალის მეშვეობით.

### 2. მხარეთა ვალდებულებები და სპეციფიკაციები

#### 2.1. დამკვეთი ვალდებულია:

- 2.1.1 „შემსრულებელი“ უზრუნველყოს რწმუნებულებით, რომლის საშუალებითაც იგი იმოქმედებს დამკვეთის სახელით საბაჟო და სხვადასხვა კანონიერი ფორმალობების შესრულებისას საბაჟო ზონაზე, პორტში, გემზე, ნავთობტერმინალში და რკინიგზაში.
- 2.1.2 შემსრულებელი უზრუნველყოს ყველა აუცილებელი საჭირო დოკუმენტაციით და ინფორმაციით.
- 2.1.3 მიაწოდოს შემსრულებელს ყველა ის ინფორმაცია, რაც აუცილებელია ტვირთების ექსპედიციებისათვის.
- 2.1.4 დროულად გადაუხადოს ექსპედიტორს ხელშეკრულების მე-5-ე მუხლით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულება.

## **2.2. შემსრულებელი ვალდებულია:**

- 2.2.1 ნავთობტანკერიდან ტვირთის გადმოტვირთამდე შემსრულებელი ახდენს ტერმინალის ტერიტორიაზე დამკვეთის განკარგვაში არსებულ რეზერვუარებში საწვავის ნაშთების განსაზღვრას, რის თაობაზე მონაცემებსაც დაუყოვნებლივ აწვდის დამკვეთს. იმავედროულად, შემსრულებელი, ტვირთის მიღებამდე, დამკვეთს აწვდის მონაცემებს ტვირთისათვის განკუთვნილ რეზერვუარებში არსებული საწვავის წარმომავლობისა (მწარმოებელი ქვეყანა) და დასახელების თაობაზე. აგრეთვე შემსრულებელი ახდენს ნავთობტანკერზე განთავსებული ტვირთის სინჯების აღებას და რაოდენობის განსაზღვრას (ყოველ ჯერზე, საწვავის ტემპერატურისა და წყლის შემცველობის მითითებით). შემსრულებელი ასევე ახორციელებს დამკვეთის სარგებლობაში არსებული რეზერვუარების დალუქვას, მათში ტვირთების განთავსებისა და რეზერვუარებიდან ვაგონცისტერნებში ან ბენზინმზიდებში განთავსების შემდეგ.
- 2.2.2 სამუშაოთა შესრულებას უწყვეტ ციკლში როგორც ნავთობტანკერიდან ნავთობტერმინალამდე (ბათუმის შემთხვევაში), ასევე ბათუმის ტერმინალის ტერიტორიაზე დამკვეთის სარგებლობაში არსებულ და სატრანსპორტო საშუალებებში (ვაგონცისტერნები და ბენზინმზიდები). სარკინიგზო მარშრუტის შემთხვევაში, სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი პარამეტრების ფარგლებში, სინჯების აღებას შემდეგ პუნქტებში - ნავთობბაზა ძეგვი, ქ. სამტრედია, თბილისი (ლილო და სადგური საკვანძო), ქუთაისი, ფოთი, ქობულეთი.
- 2.2.3 სარკინიგზო მარშრუტის შემთხვევაში შემსრულებელი ახდენს ვაგონცისტერნების აზომვას (საწვავის ტემპერატურისა და ტვირთის რაოდენობის მითითებით), აგრეთვე ყველა ვაგონცისტერნიდან შერეული სინჯის აღებას (ე.წ. მიქსი, დეტალები იხილეთ მომსახურების სპეციფიკაციის ნაწილში).
- 2.2.4 ტერმინალში, დამკვეთის განკარგვის ქვეშ არსებულ რეზერვუარებში, განახორციელოს ინვენტარიზაცია (აღწერა) ყოველი თვის პირველ რიცხვში, რის შემდეგაც 24 საათის განმავლობაში სრულ ინფორმაციას აწვდის დამკვეთს.
- 2.2.5 განახორციელოს დამკვეთისათვის ინფორმაციის დროული მიწოდება (ყველა ერთდროულად მიმდინარე ოპერაციასთან დაკავშირებით) ნავთობპროდუქტების მოძრაობასთან დაკავშირებით, როგორც ტანკერიდან რეზერვუარებამდე, ასევე ვაგონცისტერნებსა და ბენზინმზიდებში. მათ შორის ა) ნავთობპროდუქტების რაოდენობასა და ხარისხთან დაკავშირებული ანგარიშების მომზადება (მომსახურების სპეციფიკაციაში მითითებული პირობების შესაბამისად) და დროული მიწოდება (ნავთობტანკერის შემთხვევაში გადმოტვირთვის დასრულებიდან 48 საათის განმავლობაში, სარკინიგზო მარშრუტის შემთხვევაში 12 საათის განმავლობაში); ბ) ნავთობპროდუქტების ხარისხის კონტროლი საკუთარი ან მოწვეული (შესაბამისად სერთიფიცირებული) ლაბორატორიის მიერ (მოწვეულის შემთხვევაში შემსრულებელი ვალდებულია წარმოადგინოს

კონტრაქტი); გ) დამკვეთის ინტერესების დაცვა სასამართლოში და სადაზღვევო კომპანიებთან დავის დროს.

- 2.2.6 უზრუნველყოს ვაგონციტერნებსა და სატრანსპორტო საშუალებებში ნავთობპროდუქტების საკონტროლო ნიმუშების აღება და დალუქვა. ხოლო, ნებისმიერი აღმოჩენილი დარღვევების (ტექნიკური დეფექტის) თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობებს დამკვეთს.
- 2.2.7 განახორციელოს შესაბამისი დაშვებისა და ავტორიზაციის უზრუნველყოფა როგორც ბათუმის ნავთობტერმინალსა და სარკინიგზო სადგურებში, ისე აღნიშნული საქმიანობის სრულფასოვნად წარმოებისათვის საჭირო ყველა საჭირო სტრუქტურაში.
- 2.2.8 აღნიშნული საქმიანობის სრულფასოვნად წარმოებისათვის უზრუნველყოს ყველა შესაბამისი ლიცენზიის ქონა (კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში).
- 2.2.9 მომსახურება განახორციელოს პროფესიულ დონეზე და მოქმედი სტანდარტების შესაბამისად, წინააღმდეგ შემთხვევაში მომსახურების უზარისხოდ და არაჯეროვნად შესრულებული სამუშაოს გამო, მისი ბრალით დამკვეთისათვის მიყენებული რეპუტაციული და/ან ფინანსური ზარალის შემთხვევაში, სრულად აუნაზღაუროს მას მიყენებული ზარალი.

## 2.3 შემსრულებლის მიერ შესასრულებელი სამუშაოების სპეციფიკაციები

- 2.3.1 შემსრულებელი ახორციელებს:
  - ნავთობტანკერის ყველა რეზერვუარის აზომვას და სინჯების აღებას. სინჯების აღება ხდება შემდეგ კომპონენტებზე:
    - ბენზინის შემთხვევაში - ა) ოქტანი (RON და MON); ბ) გოგირდის შემცველობა; გ) კუთრი წონა;
    - დიზელის შემთხვევაში - ა) გოგირდის შემცველობა; ბ) აფეთქების ტემპერატურა; გ) წყლის შემცველობა; დ) კუთრი წონა;
- 2.3.2 დამკვეთის სარგებლობაში არსებულ რეზერვუარებში (ბათუმის ტერმინალში) ნაშთების აზომვა ნავთობტანკერის გადმოტვირთვის დაწყებამდე და დასრულების შემდეგ, რის თაობაზეც დეტალურ ინფორმაციას აწვდის დამკვეთს 24 საათის განმავლობაში.
- 2.3.3 ბათუმის პორტიდან ტრანსპორტირებისას დამკვეთის კუთვნილი ნავთობპროდუქტების ვაგონებში განთავსებამდე შემსრულებელი ახდენს ვაგონების შემოწმებას სისუფთავეზე (ვაგონში ნავთობპროდუქტებისა და/ან უცხო ნარჩენების არსებობის დადგენის მიზნით). აღნიშნულის აღმოჩენის შემთხვევაში შემსრულებელი ვალდებულია ინფორმაცია დაუყოვნებლივ აცნობს დამკვეთს და დამკვეთის მიერ ტვირთების მომსახურებისათვის განსაზღვრულ აგენტს.
- 2.3.4 ნავთობტანკერიდან ნავთობპროდუქტების პირდაპირ ვაგონ-ციტერნებში გადმოტვირთვის შემთხვევაში, ვაგონების აზომვა 2.3.5 პუნქტში მითითებული სპეციფიკაციის მიხედვით.
- 2.3.5 დამკვეთის კუთვნილი ნავთობპროდუქტების ვაგონებში განთავსებისა და ნავთობპროდუქტების სარკინიგზო მარშრუტით იმპორტის ყოველ ჯერზე

ვაგონებიდან სინჯის აღება შემდეგი წესით: ბენზინის შემთხვევაში სინჯების აღება ხდება ესტაკადაზე ერთჯერადად განთავსებული ვაგონებიდან შერეული მეთოდით (ე.წ. მიქსი). დიზელის შემთხვევაში სინჯების აღება ხდება ყოველი მეორე ვაგონის ტერნიდან, ასევე, დიზელის შემთხვევაში დამატებით ხორცილდება შერეული სინჯის აღება (ე.წ. მიქსი). ბენზინის შემთხვევაში: ა) ოქტანი (RON და MON); გ) გოგირდის შემცველობა; გ) კუთრი წონა. დიზელის შემთხვევაში: ა) აფეთქების ტემპერატურა; ბ) წყლის შემცველობა, გ) გოგირდის შემცველობა; დ) კუთრი წონა. შემსრულებლის ვალდებულებაა ყველა ვაგონის დალუქვა და გადახუფვა. არაჯეროვანი გადახუფვის ან დალუქვის შემთხვევაში, დამკვეთისათვის მიყენებულ ზარალს, თუკი იგი გამოწვეული იქნება შემსრულებლის მიერ, აანაზღაურებს შემსრულებელი (დამკვეთის მხრიდან პრეტენზიის წარდგენის შემთხვევაში).

- 2.3.6 აღებული სინჯის ყოველი ნიმუშის მოცულობა უნდა შეადგენდეს არანაკლებ 1 (ერთი) ლიტრს და უნდა ინახებოდეს 90 კალენდარული დღე.
- 2.3.7 შემსრულებელი ვალდებულია სინჯების აღების, შენახვის და ნებისმიერი სხვა ტიპის მოქმედება განახორციელოს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობისა და ევროპული სტანდარტების (ტექნიკური რეგლამენტების) შესაბამისად.
- 2.3.8 დამკვეთის მოთხოვნის შესაბამისად შემსრულებელს უნდა შეეძლოს რეზერვუარებისა და სატრანსპორტო საშუალებების მეტროლოგიური აზომვებისა და საკონტროლო აზომვების განხორციელება ნავთობბაზებში.
- 2.3.9 დამკვეთის მოთხოვნის შემთხვევაში შემსრულებელს უნდა შეეძლოს წინამდებარე ხელშეკრულების დანართი #1-ით გათვალისწინებული სინჯების შესრულება.

### 3 მოსახურეობის საფასური

3.1 წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად შემსრულებლის მიერ შესრულებული მომსახურეობის საფასური, სანაპირო აზომვის მიხედვით გემიდან ფაქტიურად გადმოტვირთული პროდუქტის 1 (ერთ) მეტრულ ტონაზე შეადგენს: **საზღვაო ტრანსპორტით იმპორტირებულ ნავთობპროდუქტებზე ---- აშშ დოლარს, ხოლო რკინიგზით იმპორტირებულ ნავთობპროდუქტებზე - --- აშშ დოლარს.** ღირებულება განისაზღვრება აშშ დოლარის ექვივალენტით ლარში, ანგარიშფაქტურის გამოწერის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით.

3.2 ანაზღაურება მოხდება მომსახურეობის დასრულების შემდეგ, შემსრულებლის მიერ წარმოდგენილი ანგარიშფაქტურის გამოწერიდან 20 კალენდარული დღის განმავლობაში, შემსრულებლის საბანკო ანგარიშზე გადარიცხვების მეშვეობით.

### 5. ფორს-მაჟორი

5.1 თუ შეიქმნა მხარეების კონტროლს დაუქვემდებარებელი ისეთი გარემოებები, რომლებიც მთლიანად ან ნაწილობრივ ხელს უშლის ამ ხელშეკრულებების საფუძველზე მხარეთა მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას (ხანძარი, სტიქიური უბედურებები, საომარი მოქმედებები, ემბარგო, გაფიცვა, მასობრივი არეულობები და ა.შ.) ვალდებულებების შესრულების ვადა გადაიწევეს აღნიშნული გარემოებების მოქმედების ვადით.

5.2 მხარე, რომლითვისაც ფორც-მაჟორული გარემოებების გამო შეუძლებელი შეიქმნა ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებების შესრულება, მოვალეა შესაძლებლობის ფარგლებში დაუყონებლივ შეატყობინოს მეორე მხარეს ამ გარემოებების წარმოქმნისა და შეწყვეტის თაობაზე.

5.3 მხარეები კისრულობენ ვალდებულებას ფორს-მაჟორული სიტუაციის დასრულებიდან, იმ დროს არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, შესაბამის გონივრულ ვადებში უზრუნველყონ ფორს-მაჟორის დადგომამდე ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

## 6. დავების მოგვარება და მარეგულირებელი კანონმდებლობა.

6.1 მოცემული ხელშეკრულება მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

6.2 იმ შემთხვევაში თუ მხარეებს შორის წარმოიშვება რაიმე სახის დავა, მხარეებმა უნდა ეცადნონ ნებისმიერი დავის გადაწყვეტა უზრუნველყონ მოლაპარაკებების მეშვეობით. იმ შემთხვევაში თუ ხსენებული დავის გადაწყვეტა ვერ მოხერხდა მოლაპარაკებების გზით, მაშინ მოდავე მხარეს უფლება აქვს სადავო საკითხი გადასცეს სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოო და სავალდებულოა ორივე მხარისათვის.

6.3 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და განკუთვნილია მხარეთათვის.

## 7. სხვა პირობები

7.1 არცერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობები სხვა მხარეს, თუ არ იქნება მეორე მხარის წერილობითი თანხმობა.

7.2 ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე წერილობითი ფორმით. მხარეების მიერ მიღებული ცვლილებები და დამატებები შეადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და სავალდებულოა შესასრულებლად ორივე მხარისათვის.

7.3 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე შედგენილი ყველა დოკუმენტი წარმოადგენს ამ ხელშეკრულებების შემადგენელ ნაწილს და კომერციული საიდუმლოებაა. მეორე მხარის თანხმობის გარეშე მათი გახმაურების შემთხვევაში, მხარე პასუხს აგებს მეორე მხარისათვის ფაქტობრივად მიყენებული ზიანის ანაზღაურებით. მხარეს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა თუ ხელშეკრულების ან მისი ნაწილის გახმაურება მოხდება იმ სახელმწიფო ორგანოების მიერ, რომელთაც გააჩნიათ ასეთი ინფორმაციის მოთხოვნის კანონიერი უფლება.

7.4 საკონტაქტო პირები:

დამკვეთის მხრიდან - -----

შემსრულებლის მხრიდან - -----

## 8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

8.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის 2018 წლის -----დან და მოქმედებს 2020 წლის ----- ჩათვლით.

8.2 ხელშეკრულება ვადამდე შეიძლება შეწყდეს;

ა) შემსრულებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის და/ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში;

ბ) ერთ-ერთი მხარის მიერ მეორე მხარისათვის წინასწარ ერთი თვით ადრე წერილობითი შეტყობინების შემთხვევაში.

## **9. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები**

შპს “ლუკოილ ჯორჯია“-სა და ----- შორის 2018 წლის ----- გაფორმებული  
ხელშეკრულების

დანართი #1

No	TEST	METHOD	RATE, \$US
1	Acid Number	ASTM D 664	0
2	Acid /Base Number	ASTM D 974	0
3	Acid Number in Aviation Turbine Fuel	ASTM D 3242	0
4	Acid (as acetic acid)	ASTM D 1613 / GOST 9805	0
5	Aniline Point	ASTM D 611	0
6	API Gravity, Density, Relative Density (Specific Gravity) by Digital Density Meter	ASTM D 4052	0
7	API Gravity, Density, Relative Density (Specific Gravity) by Hydrometer	ASTM D 1298 / D1250	0
8	Appearance	ASTM D 4176	0
9	Aromatics	GOST 6994	0
10	Ash	ASTM D 482	0
11	Asphaltenes	ASTM D 6560 / IP 143	0
12	Bromine Number	ASTM D 1159	0
13	Carbon Residue - Conradson	ASTM D 189	0
14	Carbon Residue - Conradson 10% Distillation Residue	ASTM D 189	0
15	Cetane index	ASTM D 976	0
16	Cetane index	ASTM D 4737	0
17	Cloud Point	ASTM D 2500	0
18	Cold Filter Plugging Point	IP 309	0
19	Colour	ASTM D 1500	0
20	Colour by Pt-Co scale	ASTM D 1209	0
21	Colour by Saybolt	ASTM D 156	0
22	Copper Corrosion Strip	ASTM D 130	0
23	Density	ASTM D 5002	0
24	Density	GOST 3900	0

25	Distillation of Petroleum Products at Atmospheric Pressure	ASTM D 86	0
26	Distillation Range of Volatile Organic Liquids	ASTM D 1078	0
27	Distillation at Reduced Pressure (Vacuum Distillation)	ASTM D 1160	0
28	Doctor Test	ASTM D 4952 / IP 30	0
29	Electrical Conductivity of Aviation and Distillate Fuels	ASTM D2624	0
30	Existent Gum - Air Jet Evaporation Method	ASTM D 381	0
31	Flash Point(PMCC)	ASTM D 93	0
32	Freezing Point	ASTM D 2386	0
33	Heat of combustion	ASTM D 3338/ ISO 8217	0
34	Heat of combustion	ASTM D 4868/ ISO 8217	0
35	Hydrogen Sulphide and Mercaptan Sulphur in Liquid Hydrocarbons	UOP 163	0
36	Iodine number	GOST 2070	0
37	Lead	ASTM D 3237	0
38	Mercaptan Sulphur in Gasoline, Kerosene, Aviation Turbine, and Distillate Fuels	ASTM D 3227	0
39	Metals (Al/Si/V/Ni/Fe/Na/Ca/Zn)	ASTM D3605; D 5863B; IP470; IP288;	0
40	Non volatile matter	ASTM D 1353	0
41	Odour	ASTM D 1296	0
42	Oxidation Stability of Gasoline (Induction Period Method)	ASTM D 525	0
43	Oxidation Stability of Distillate Fuels (Accelerated Method)	ASTM D 2274	0
44	P-Value	SMS 1600	0
45	Particulate Contamination	ASTM D 2276	0
46	PH value	PH Potentiometer	0
47	Pour Point	ASTM D 97	0
48	Pour Point	ASTM D 5853(B)	0
49	Reid Vapour Pressure (RVP)	ASTM D 323	0
50	Salt	GOST 21534/ ASTM D 3230	0
51	Sediments by Extraction	ASTM D 473	0
52	Sediments by Filtration	ASTM D 4807	0
53	Sediment by Hot Filtration, Accelerated (includes Chemical Ageing by ASTM D4870_X1 Procedure B)	ISO 10307; ASTM D 4870	0
54	Sediment by Hot Filtration, Potential (includes Thermal Ageing by ASTM D4870_X1 Procedure A)	ISO 10307; ASTM D 4870	0
55	Sediment, Total by Hot Filtration	IP 375; ASTM D 4870	0
56	Smoke Point	ASTM D 1322	0



57	Total Contamination in Middle Distillates	DIN 51419	0
58	Sulphur Content - EDXRF Method	ASTM D 4294/ IP 336	0
59	Sulphur Content - UV Fluorescence Method	ASTM D 5453	0
60	Toluene Equivalent	Exxon 79-004	0
61	Viscosity	ASTM D 445	0
62	Water in Crude Oil - Distillation Method	ASTM D 4006	0
63	Water in Petroleum Products - Distillation Method	ASTM D 95	0
64	Water in Crude Oil - Distillation Method	GOST 2477	0
65	Water by KF	ASTM D 4928	0
66	Water by KF	ASTM D 6304	0
67	Water in Volatile Solvents (Volumetric KF Titration)	ASTM D 1364	0
68	Water Miscibility of Water-Soluble Solvents	ASTM D 1722	0
69	Water Reaction of Aviation Fuels	ASTM D 1094	0
70	Water Separability (Demulsification)	ASTM D 1401	0
71	Water soluble acids & alkalis	GOST 6307	0
72	Xylene Equivalent	BP 230	0